# თანხმობის გამოხმობის ფორმა

სს „გრინვეი საქართველო“ ამუშავებს ჩემს პერსონალურ მონაცემებს ................................ (თარიღი) ჩემ მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე.

ჩემთვის ცნობილია, რომ მაქვს უფლება გავაუქმო ხსენებული თანხმობა, ამასთანავე, განმემარტა, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უარის თქმა გამოიწვევს ჩემთვის მომსახურების შეწყვეტას. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნის შემთხვევაში, ისევე, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის უკან გამოთხოვის შემთხვევაში, შემიწყდება ყველა მომსახურება/სერვისი/პროდუქტი რომელსაც ვიღებ კომპანიისგან. ჩემთვის ცნობილია, რომ მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.

**მოთხოვნა**

- მაქვს ინფორმაცია, რომ თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას;
- ვაცნობიერებ რა, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია ჩემთვის მომსახურების გაწევის, კომპანიისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მიზნით და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უარის თქმა გამოიწვევს ჩემთვის მომსახურების/სერვისის მიწოდების შეწყვეტას;
- ვიყენებ რა ჩემს უფლებას, მოვითხოვო ჩემ შესახებ დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაბლოკვა, დამუშავების შეწყვეტა, წაშლა და განადგურება;
- ვიყენებ რა ჩემს უფლებას, ნებისმიერ დროს უარი ვთქვა ჩემ მიერვე გაცემულ თანხმობაზე მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

**ვითხოვ, ჩემი პერსონალური მონაცემები:**

☐ დაიბლოკოს
☐ შეწყდეს დამუშავება ინფორმირებული თანხმობის უკან გამოთხოვის საფუძველზე
☐ წაიშალოს
☐ განადგურდეს

| | |
|---|---|
| **სახელი, გვარი, პ/ნ:** | **ხელმოწერა:** |
| **თარიღი:** (დღე/თვე/წელი) | |